№ 11-891

„30" 01 2019 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსს

მარინა დარახველიძეს

საქართველოს უნივერსიტეტი, მისი ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, ჩართულია ჯანმოს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო პროექტის „Regional Mentor Institute Building Health Policy and Systems Research (HPSR) Capacity on Intersectionality and Gender Equity" ამიერკავკასიის რეგიონის მხრიდან განაცხადის შემტან ორგანიზაციად. ძირითადი მკვლევარი კანადის სიმონ ფრაზერის უნივერსიტეტის პროფესორი ოლენა ჰანკივსკაი(Mrs. Olena Hankivsky, Simon Fraser University, Canada,. World Health Organization Expert in Gender, Equity and Human Rights, Founder and Director of the Institute for Intersectionality Research and Policy (IIRP)). სააპლიკაციო პროექტი მოიაზრებს რეგიონში მკვლევართა ჰაბის შემქნას ჯანდაცვის პოლიტიკისა და კვლევების მიმართულებით ინტერსექტორალური და გენდერული თანამშრომლობის საკითხებზე კონცენტრაციით.

პროექტი მოგვცემს საშუალებას გაიზარდოს მკვლევართა ჯგუფი, რომლებიც იმუშავებენ კვლევებზე დაფუძნებული მტკიცებულებითი გადაწყვეტილებების მიღების ფორმირების მეთოდოლოგიებზე ინტერსექტორალური და გენდერული თანამშრომლობის კუთხით.

საქართველოს უნივერსიტეტს წარმატებით განხორციელებული აქვს მრავალი საერთაშორისო პროექტი, როგორც კოორდინატორს ასევე როგორც მონაწილე მხარეს. ამჟამად მონაწილეობს ნორვეგიულ პორექტში, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო სწავლებების გაუმჯობესებას, დოქტორანტების კვლევების მხარდაჭერას და ინტერნაციონალიზაციას, დაბადების რეგისტრის ფორმირებასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას ქვეყანაში. ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა აქტიურად ჩართულია ჯანდაცვითი შესაბამისი ადამიანური რესურსების ფორმირებაში, შიდა საუნივერსიტეტო გრანტების მეშვეობით მოტივირებას უკეთებს დაბადების რეგისტრზე სტუდენტების მუშაობას და სხვა.

იმედი გვაქვს, რომ მოცემული პროექტი სამინისტროსთვის და ჩვენი ქვეყნისთვის კარგი ინსტრუმენტი იქნება ინტერსექტორული თანამშრომლობისთვის გენდერული კუთხით, კვლევების შედეგების მიღებისა და მათი გათვალისწინებისათვის მომავალი ჯანდაცვითი სტრატეგიების შემუშავების და ანგარიშების მომზადების დროს.

გთხოვთ მოგვცეთ შესაბამისი მხარდაჭერის წერილი.

წინასწარ დიდი მადლობა ნდობის გამოცხადებისთვის.

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის

დირექტორი

თამარ ლობჯანიძე

30.01.2019

საქართველოს უნივერსიტეტი LLC "UNIVERSITY OF GEORGIA" 205037137 ქანცელარია CHANCELLERY